ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ტემპი, ტემპი, ტემპი!

რა შეიძლება ითქვას მოსკოვის „სპარტაკზე", როგორ შეიძლება მისი დახასიათება?

ჩემპიონებად შემთხვევით არ ხდებიან. თასი შეიძლება მოიგო მოვლენათა იღბლიანი მსვლელობის შედეგად, ჩემპიონობა კი — ნურას უკაცრავად. ასე რომ, სპარტაკელთა შარშანდელი ტრიუმფი და ოქროს მედლები სავსებით კანონზომიერი შედეგია იმ დიდი ძვრებისა, რომლებიც კოლექტივში მოხდა.

გუნდის ხელმძღვანელობამ კოლექტივში თავი მოუყარა პერსპექტიულ ახალგაზრდობას, გამოაწრთო იგი დუბლიორთა ბრძოლებში და შემდეგ თამამად მისცა ადგილი ძირითად შემადგენლობაში იმ ასაკგადაცილებული ფეხბურთელების ნაცვლად, რომლებიც ერთ ადგილას ყინავდნენ „სპარტაკს" და წინსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. გაიხსენეთ: სპარტაკელები 1967 წელს VII ადგილზე იყვნენ საკავშირო ჩემპიონატში, შემდეგ II ადგილზე გადაინაცვლეს და შარშან ჩემპიონებიც გახდნენ.

ვინაა ეს ახალგაზრდობა? ლოვჩევი, კალინოვი, პაპაევი, აბრამოვი, ევხეევი, სილაგაძე. ნიჭიერი ფეხბურთელები, რომელთაგან ნაწილი სსრ კავშირის პირველ ნაკრებშიც შედის.

მაგრამ ჩემპიონობას ეს ახალგაზრდობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა, კოლექტივში რომ არ ყოფილიყვნენ გამოცდილი ვეტერანები, რომლებმაც დიდი ფეხბურთის რთული სკოლა გაიარეს და მისი რთული ხელოვნების ყველა საიდუმლოებას იცნობენ: ქუსაინოვი, ლოგოფეტი, ივანოვი, ოსიანინი და, რა თქმა უნდა, მეკარე კავაზაშვილი, რომელსაც კოლექტივი დიდად უნდა უმადლოდეს თავის ჩემპიონობას.

ესე იგი, „სპარტაკი" ახლა წარმოადგენს ახალგაზრდობისა და გამოცდილების, ენერგიისა და ჭკუის ბედნიერ ნაერთს, რომელიც მას უმაღლეს სპორტულ მწვერვალებს აპყრობინებს.

მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატის სტარტი? გაჭირვებით მოპოვებული 2 ქულა ქუთაისსა და ერევანში? რას უნდა მივაწეროთ ეს — სათანადო ფორმაში არყოფნას, შემთხვევითობას, მოთამაშეთა მოუმზადებლობას?

ძნელი სათქმელია. შეუძლებელია ასეთ ძლიერ მოთამაშეებს ასე უცებ დაეკარგათ ფორმა. ეტყობა, თავს იჩენს ტრადიცია: სპარტაკელები თანდათან, მეთოდურად აღწევენ ხოლმე თავიანთ საბრძოლო კონდიციებს და სამხრეთში ჩატარებულ პირველ მატჩებში მუდამ კარგავენ ქულებს. ასეა ყოველ წელს, ასე მოხდა ახლაც.

მაგრამ მატჩსა და მატჩს შორის დიდი განსხვავებაა. არც ქუთაისში და არც ერევანში სპარტაკელები არ იქნებოდნენ ისე მობილიზებული, როგორც თბილისში — ბრინჯაოს მედალოსნებთან შეხვედრაში. ხარ ფორმაში თუ არა, ასეთ დროს თამაშს მისცემ ყველაფერს: მთელ ძალას, ენერგიას, უნარს...

უდავოდ, ასე მობილიზებული იყო ჩემპიონი 27 მარტს და გუნდის ხელმძღვანელებს ეს არც დაუფარავთ მატჩის შემდეგ: ეს ჩვენი წლევანდელი საუკეთესო თამაში იყოო.

რა დაუპირისპირეს თბილისელებმა მოწინააღმდეგეს ამ დღეს? პირველ ტაიმში ბევრი ვერაფერი. დინამოელები თამაშობდნენ ინდივიდუალურად, უზუსტო გადაცემებით. ისინი ნერვიულობდნენ, შუა მინდორში ჯგუფდებოდნენ და, რაც მთავარია, ნელ ტემპში მოქმედებდნენ. იყო ორი-სამი მომენტი, როცა მეტრეველმა მთელი სისწრაფე ჩართო. მას სხვებმაც აუბეს მხარი და სტუმრების რიგებიც წამსვე აირია. მაგრამ, ეს „ორი-სამი" ისეთ მატჩში, როგორიც პარასკევს იყო, უკმარია. საჭიროა მეტი, გაცილებით მეტი!

აი, ეს „გაცილებით მეტი" თბილისის „დინამომ" შესვენების შემდეგ შესთავაზა ჩემპიონს და პირველი ტაიმის წყვეტილი, დამუხრუჭებული თამაშიდან ნასახიც არ დარჩა. ახლა ყველაფერი, რასაც თბილისელები აკეთებდნენ, ინდივიდუალური თამაში იყო ეს, თუ კომბინაცია, დაცვიდან შეტევაზე გადასვლა თუ სხვა რამ, კეთდებოდა უკიდურესად სწრაფად, შეუჩერებლად, ერთ მთლიანობაში.

ტემპი, ტემპი, ტემპი! აი, რამ მოუტანა დინამოელებს გამარჯვება, რამ მოუსპო მოსკოველებს საშუალება შუა მინდორში დინჯად ეწარმოებინათ პოზიციური მანევრები და დროზე გადაეკეტათ გზები მეტოქის იერიშისას. როცა თბილისის „დინამო" ასეთ ტემპში, ნამდვილი ექსტაზით თამაშობს, გრძელი გადაცემებით, სწრაფი გარღვევებით ფლანგებიდან და ცენტრში, მასთან ბრძოლა ძნელზე ძნელი საქმეა.

და „სპარტაკმაც" ვერ გაუძლო. ჯერ კიდევ 46-ე წუთზე გაითამაშეს ძმებმა ნოდიებმა კომბინაცია, რომელსაც მოსკოველმა მცველებმა და მეკარემ თვალიც ვერ მოასწრეს. ლევანი მარცხენა ფრთაზე გაიჭრა, ზედ კართან მიაწოდა, გივიმ კი არ დააყოვნა და ტანით შეიტანა ბურთი ბადეში მეკარე კავაზაშვილის ზურგიდან — 1:0.

იმ მომენტიდან დაიწყო დინამოელთა ნამდვილი თამაში. მეტრეველს მარტო ლოვჩევი ვერ აუდიოდა და მას სულ უფრო მეტად სჭირდებოდა პარტნიორების დახმარება. მარცხენა ფრთაზე ხშირად გადიოდა ლ. ნოდია, ცენტრში — გ. ნოდია, ნახევარდაცვა (კუტივაძე, ასათიანი, პეტრიაშვილი) შეტევის მეორე ხაზს ქმნიდა, რომელიც თითქმის კვალში მისდევდა თავდასხმას, დაცვაში ყველა მოთამაშე თავის ადგილას იყო და დაუყოვნებლივ გზავნიდა ბურთს სპარტაკელთა საჯარიმოსკენ.

მძიმე ტვირთი დააწვა კავაზაშვილს. მას ზედიზედ მოუხდა რამდენიმე უძნელესი ბურთის აღება, მაგრამ 79-ე წუთზე მეკარე ისევ უძლური აღმოჩნდა ეხსნა თავისი გუნდი, როცა კუტივაძემ, მეტრეველმა და პეტრიაშვილმა კუთხური მოწოდება გაითამაშეს. პეტრიაშვილმა დაბალ ნახტომში თავით ჩაჭრა ძნელი ბურთი კარის შორეულ კუთხეში, ძელისკენ და მოსკოველთა დამარცხებაც რეალობად იქცა.

ეს კანონია, როცა თბილისის „დინამო" მაღალ ტემპში თამაშობს, მასთან ბრძოლა უძნელესი საქმეა. ამ ჭეშმარიტების ნათელი დემონსტრაცია იყო 27 მარტის მატჩის 2 ტაიმი: პირველი — 0:0 მეორე — 2:0. ამიტომ ყოველთვის ასე უნდა ვითამაშოთ — ტემპში, მხოლოდ ტემპში!

გ. ქორქია.

* * *



სურათზე: მოსკოვის „სპარტაკთან" მატჩის მომენტი. იერიშზეა გ. ნოდია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 66 (4056) 29 1970 წ. მარტი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## წარმატებას გისურვებთ!

თბილისის „დინამოს" ისტორიასთან, მის წარმატებებთან განუყრელადაა დაკავშირებული ორი ბრწყინვალე ქართველი ფეხბურთელის, ე. წ. მესამე თაობის შესანიშნავი წარმომადგენლების, სპორტის დამსახურებული ოსტატების შოთა იამანიძისა და სერგო კოტრიკაძის სახელები. ვინ მოთვლის რამდენი დიდოსტატური მატჩი აქვთ მათ ჩატარებული თბილისის „დინამოს", საქართველოს ნაკრებისა, თუ სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში, რამდენჯერ მოსულა აღტაცებაში მაყურებელი მათი შეუდარებელი ოსტატობით. შ. იამანიძესაც და ს. კოტრიკაძესაც საუცხოოდ იცნობენ სსრ კავშირისა და უცხოეთის საფეხბურთო წრეები.

27 მარტს თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" კალენდარული მატჩის წინ თბილისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ საზეიმო გაცილება მოუწყო ვეტერან ფეხბურთელებს. მათ სიტყვებით მიმართეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. ბაქანიძემ და საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ცომაიამ და გადასცეს ძვირფასი საჩუქრები.

ვუსურვოთ შოთა იამანიძესა და სერგი კოტრიკაძეს შემდგომი დიდი წარმატებები.

* * *



სურათზე (მარცხნიდან): შ. იამანიძე და ს. კოტრიკაძე გაცილების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სსრ კავშირი თუ შვეცია?

სტოკჰოლმი, 27 მარტი. „იუჰანესჰოფის" ყინულის სარბიელზე დღეს მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა — ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები. პირველ წრეში დამარცხების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები რევანშის წყურვილით გამოვიდა საასპარეზოდ, მაგრამ მის სურვილს ასრულება არ ეწერა.

პირველ პერიოდში თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ ხუთ წუთს მიმდინარეობდა. მას შემდეგ კი, რაც მე-7 წუთზე სტარშინოვმა პირველი შაიბა გაიტანა მეტოქის კარში, საბჭოთა გუნდის უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა. მე-15 წუთზე პეტროვმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე პერიოდში საბჭოთა ჰოკეისტები ანგარიშის შენარჩუნების მიზნით შაიბას დიდხანს და ოსტატურად ათამაშებდნენ. ჩეხოსლოვაკიელებმა ვერაფერი გააწყვეს შესანიშნავად მოთამაშე მეტოქესთან, მაშინაც კი, როცა რიცხობრივი უპირატესობა მათს მხარეზე იყო. უფრო მეტიც: ფირსოვმა (მე-9 წ.) და ვიკულოვმა (მე-17 წ.) კიდევ 2 შაიბა გაიტანეს — 4:0.

მესამე პერიოდში საბჭოთა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ხრბატიმ ერთი შაიბა გაქვითა, მაგრამ წუთის შემდეგ ვიკულოვმა ანგარიში 5:1 გახადა.

ამ მატჩის მოგებით საბჭოთა ჰოკეისტებმა უარეს შემთხვევაში გაინაღდეს მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები. თუ შვედები ხვალ პოლონელებს დაამარცხებენ, მაშინ ბოლო მატჩში საბჭოთა ჰოკეისტებისთვის შვეციის ნაკრებთან ფრეც ხელსაყრელია მსოფლიო ჩემპიონობის შესანარჩუნებლად, ხოლო შვედებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 9 | 8 | 0 | 1 | 65 — 10 | 16 |
| შვეცია | 8 | 6 | 1 | 1 | 39 — 17 | 13 |
| ჩეხოსლ. | 9 | 5 | 1 | 3 | 44 — 25 | 11 |
| ფინეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 23 — 33 | 8 |
| გდრ | 8 | 0 | 1 | 7 | 11 — 45 | 1 |
| პოლონეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 8 — 60 | 1 |

* * *

სურათებზე: სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩის მომენტი. საბჭოთა ჰოკეისტები ულოცავენ ვიკულოვს შაიბის გატანას.

ტელეფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

16 ფინალისტის საქმენი

## -20ზე

## ბრაზილია — ჩილი 2:1

◆ რიო-დე ჟანეირო, 28 მარტი. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა კვლავ დაამარცხა ჩილის ეროვნული გუნდი, ამჯერად — 2:1. თანაც, „მარაკანას" სტადიონზე გამართულ მატჩში სამივე ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს: 2 — ჩილიელთა კარში ალბერტომ და რიველინომ, 1 — საკუთარში — გერსონმა. 36-ე წუთიდან გუნდებში 9-9 ფეხბურთელი დარჩა: ათწუთიანი არეულობის შემდეგ მინდვრიდან გააძევეს ბრაზილიელები ჟაირზინიო და რობერტო, ჩილიელები — აუბე და სილვა. „ჩვენი გუნდი არც მორალურად, არც ფიზიკურად არ არის მზად მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის... სუსტ მეტოქესთან თამაშის დროს ჩვენი თავდამსხმელები პირველი 30 წუთის განმავლობაში ერთმანეთს გადასცემდნენ ბურთს და არაფერი მოიმოქმედეს ჩილიელთა კარის ასაღებად", — ასეთი კომენტარები გაუკეთეს ამ მატჩს ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა

### შედეგები, გოლები, ქულები

გუშინწინ შედგა ჩემპიონატის მორიგი, III ტურის მატჩები.

გათამაშებაში ჩაებნენ მოსკოვის დინამოელები, რომელთა პირველი მეტოქე იყო „შახტიორი". ეს მატჩი შედგა სოჭში და დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:0. ბურთები გაიტანეს ეშტრეკოვმა და სიომინმა.

უცხოეთში საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებულმა მოსკოვის არმიელებმა აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარეს მატჩი ტაშკენტში „ფახთაქორის" წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0. 2 ბურთის ავტორი იყო ფედოტოვი, დანარჩენებისა — უტკინი, პოლიკარპოვი და დუდარენკო.

ინციდენტი მოხდა ერევანში, სადაც ადგილობრივი „არარატი" ეთამაშებოდა „ზენიტს". პირველი მოთამაშე, რომელიც XXXII ჩემპიონატში გააძევეს მინდვრიდან, არის ერევნელთა კაზარიანი, თუმცა მისმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა — 1:0. ამ ერთადერთი ბურთის ავტორია პოლოსიანი.

მინსკის დინამოელთა კარში დანიშნულმა პენალტმა ბაქოში გამარჯვება მოუტანა „ნევთჩის". 11-მეტრიანის რეალიზება მოახდინა გაჯიევმა.

ზედიზედ განცდილი 2 წაგების შემდეგ პირველ გამარჯვებას მიაღწიეს მოსკოვის ტორპედოელებმა, რომლებმაც ორჯონიკიძეში დაამარცხეს უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტი — ადგილობრივი „სპარტაკი" — 2:0.

მხოლოდ ერთ მატჩში არ გახსნილა ანგარიში. 0:0 — ასე ითამაშეს „ჩერნომორეცმა" და „ზარიამ".

ამრიგად, III ტურის 8 მატჩში სულ გატანილ იქნა 16 გოლი. აქედან მასპინძლებს ეკუთვნით 5, ხოლო სტუმრებს — 11. მასპინძელმა გუნდებმა აიღეს 7 ქულა, სტუმრებმა — 9. 8 გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა.

უმაღლესი ჯგუფი

# მიუხედავად დამარცხებისა...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 მარტი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (კიევი) 1:2 (1:1).

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ქორიძე, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქუქავა.

„დინამო": რუდაკოვი, მედვიდი, სოსნიხინი, ლევჩენკო, დენეში, ტროშკინი, მუნტიანი, პუზაჩი (კაშჩეი), ბიშოვეცი, ბოგოვიკი, ხმელნიცკი.

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:0 „დინამოს" სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ბატიუტამ და ონიშჩენკომ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივის, ოთხგზის ჩემპიონისა და თასის სამგზის მფლობელის — კიევის „დინამოს" წინააღმდეგ თამაშობდა გუნდი, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ ესოდენ უფერულად, ყოვლად უპასუხისმგებლოდ ჩაატარა მატჩი როსტოვის არმიელებთან და ტყუილუბრალოდ გაატანა მათ 2 ქულა. მიუხედავად იმისა, რომ ტორპედოელებმა წააგეს კიევის „დინამოსთან", მათ ისე ძლიერად ითამაშეს, რომ შეეძლოთ ის 2 ქულა თავიანთ აქტივში ჩაეწერათ. ქუთაისელებმა არაფერში დაუდეს ტოლი მრისხანე მეტოქეს და უკიდურესად მძაფრი ბრძოლა შესთავაზეს მას.

სტუმრებს შეტევაში წინ ჰყავდათ თავიანთი ყველაზე სახიფათო, აგრესიული მოთამაშე ბიშოვეცი, მაგრამ წვერავა მას გაუმკლავდა ისე, რომ ბიშოვეცი იძულებული გახდა მინდვრის სიღრმეში დაეხია, სადაც მას ასევე არ აძლევდნენ თავისუფლად თამაშის საშუალებას. ქუთაისელთა შორის თავი გამოიჩინეს დებიუტანტებმა — ჭოხონელიძემ და გოგიამ. პირველი გამოირჩეოდა ადგილების კარგი შერჩევით, ზუსტი გადაცემებით, ხოლო მეორემ გაბედულად ითამაშა, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო და შეთანხმებულად იმოქმედა მცველებთან.

თავდასხმაში ჩვეულებურად ძლიერი იყო ხერხაძე, რომელიც მოქმედებდა აქტიურად, დიდი დატვირთვით. საერთოდ, ტორპედოელთა თითოეული მოთამაშე ამ დღეს მოწოდების სიმაღლეზე იდგა და მსაჯს ვ. ალოვს მეტი „ყურადღება" რომ გამოეჩინა, შეიძლება ჩვენი გუნდი არც დამარცხებულიყო. საქმე ისაა, რომ მატჩის მსვლელობაში კიეველები ხშირად მიმართავდნენ აკრძალულ ილეთებს, არბიტრი კი რატომღაც არ იბრძოდა ამ უხეშობის აღკვეთისთვის და მეორე გოლი, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი, სწორედ ამის სავალალო შედეგი იყო.

ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა ხმელნიცკიმ, რომელმაც ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა — 1:0. ათიოდე წუთის შემდეგ კომბინაცია ანფიმიადი — ქორიძე დამთავრდა იმით, რომ ბურთი სულ ოდნავ აცდა მიზანს. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ტორპედოელთა ერთ-ერთი შეტევისას სტუმრების მცველმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანში. პენალტი ზუსტად შეასრულა ხერხაძემ — 1:1.

დაძაბული ორმხრივი ბრძოლა მიმდინარეობდა შესვენების შემდეგაც. ყველა მომენტის აღწერას არ შევუდგებით, მაგრამ 75-ე წუთზე კიეველთა მცველებმა თავიანთი საჯარიმო მოედნის მახლობლად აშკარად მოცელეს ხერხაძე. საჯარიმო ეჭვს არ იწვევდა, ალოვმა კი არ მისცა ნიშანი. დინამოელებმა სწრაფად გაითამაშეს ბურთი და ტროშკინმა ბოგოვიკისგან მიღებული გადაცემა გოლით დაამთავრა.

მატჩი წაგებულ იქნა, მაგრამ კვლავ გვინდა კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. თუ ისინი ასე განაგრძობენ თამაშს, მათი სატურნირო მდგომარეობა უდავოდ გამოსწორდება.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ).

* * *



კიევის „დინამოსთან" ძნელ მატჩში საუკეთესო თამაშით გამოირჩინა თავი მეკარე დ. გოგიამ. სურათზე: ქუთაისელთა მეკარე ეუფლება მაღალ ბურთს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

1970 მექსიკა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 3 | 3 | 0 | 0 | 7—1 | 6 |
| „არარატი" (ერევანი) | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 7—0 | 4 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 2 | 2 | 0 | 0 | 5—0 | 4 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| „დინამო" (კიევი) | 3 | 2 | 0 | 1 | 4—3 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 1 | 1 | 0 | 0 | 2—0 | 2 |
| ასკ (როსტოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—1 | 2 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 2 | 0 | 2 | 0 | 0—0 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—4 | 2 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 3 | 1 | 0 | 2 | 2—5 | 2 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 3 | 0 | 2 | 1 | 1—6 | 2 |
| „დინამო" (მინსკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—4 | 1 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 1—5 | 1 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—7 | 1 |

# რატომ დაუთმეს ფიშერს პირველი დაფა?

როგორც იცით, „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდის კაპიტანმა მ. ეივემ პირველი დაფა ამერიკელ დიდოსტატს რ. ფიშერს დაუთმო, თუმცა ბ. ლარსენს „უკეთესი" მაჩვენებლები ჰქონდა. ჩვენ გამოვითვალეთ ფიშერის პირადი ანგარიში „საუკუნის მატჩის" ყველა მონაწილესთან (პირობითი ნიშნები: + მოგება, — წაგება, = ყაიმი) და ეივეს გადაწყვეტილების მიზეზიც ნათელი გახდა.

გთავაზობთ ფიშერის შეხვედრების ანგარიშებს „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდის წევრებთან და კაპიტანთან. ამერიკელ დიდოსტატს აშკარა უპირატესობა აქვს: ბ. ლარსენთან +4—1=1, ლ. პორტიშთან +3—0=1, ს. რეშევსკისთან +6—4=11, მ. მატულოვიჩთან +2—0=0, მ. ნაიდორფთან +3—1=3, ბ. ივკოვთან +2—1=4, ფ. ოლაფსონთან +7—2=3, კ. დარგასთან +1—0=1, საყაიმო ანგარიში: ს. გლიგორიჩთან +4—4=7 და ვ. ულმანთან +1—1=3. ვ. ჰორტს ფიშერი არ შეხვედრია.

საინტერესოა, რომ ფიშერს დიდხანს უარყოფითი ბალანსი ჰქონდა გლიგორიჩთან და ივკოვთან, მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით გამოასწორა. იგი სამჯერ შეხვდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ეივეს, აქედან ორჯერ — ბავშვობაში. ანგარიში თანაბარია +1—1=1.

ფიშერს უარყოფითი ანგარიში აქვს ოთხ საბჭოთა მოჭადრაკესთან: მსოფლიოს ჩემპიონ ბ. სპასკისთან +0—2=2, ტ. პეტროსიანთან +1—3=9, მ. ტალთან +2—4=5 და ე. გელერთან +2—5=2. სამ საბჭოთა დიდოსტატთან ამერიკელ მოჭადრაკეს უკეთესი ანგარიში აქვს: ვ. სმისლოვთან +2—1=2, პ. კერესთან +4—3=3 და ლ. შტეინთან +1—0=1. ოთხ საბჭოთა მოჭადრაკესთან ფიშერის ანგარიში თანაბარია: მ. ბოტვინიკთან და მ. ტაიმანოვთან — თითო ყაიმი, დ. ბრონშტეინთან — ორი ყაიმი, ვ. კორჩნოისთან +2—2=3. ლ. პოლუგაევსკისთან ამერიკელს არ უთამაშია.

საბჭოთა მოჭადრაკეებს ფიშერი მხოლოდ მას შემდეგ ხვდებოდა, რაც დიდოსტატი გახდა (ეს წოდება მან 15 წლის ასაკში მოიპოვა). ერთადერთი გამონაკლისია საზონათშორისო ტურნირი პორტოროჟში (1958 წ.), სადაც ოსტატმა ფიშერმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ტალთან, პეტროსიანთან და ბრონშტეინთან. ტალის „მძიმე ცალი" ამერიკელს პრეტენდენტთა 1959 წლის ტურნირიდან დარჩა, როდესაც მასთან ოთხივე პარტია წააგო. ე. გელერთან კი პირიქით, მას ბოლო წლებში 3 პარტია აქვს წაგებული.

ვ. გამრეკელი.

ინტერვიუ ტელეფონით

# ნონა II ადგილზეა
# ლარსენი მაინც წინააღმდეგია

შუაღამე იყო, როცა ტელეფონით ბელგრადის სასტუმრო „ექსელსიორში" ნ. გაფრინდაშვილის ნომერთან დაგვაკავშირეს. ყურმილი მსოფლიო ჩემპიონის მეუღლემ ა. ჭიჭინაძემ აიღო. მოვიკითხე ნონა, საერთაშორისო ტურნირისა და „საუკუნის მატჩის" ამბებიც გამოვკითხე.

— ტურნირი ამ საღამოს დამთავრდა, — გვითხრა ანზორმა. — ნონამ მხოლოდ II ადგილი დაიკავა. მას 12,5 ქულა აქვს. I ადგილი ხვდა კუშნირს, რომელმაც 13,5 ქულა დააგროვა. XIV ტურში ნონა სწორედ კუშნირს შეხვდა. ამ უკანასკნელთან შავი ფიგურებით მოგებაზე თამაში არც ისე იოლია. რთული ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კუშნირმა ოთხი პარტია მოიგო და მალიპეტროვას ყაიმზე შეუთანხმდა. ნონამ ვერ მოუგო ტროიანსკას, თორემ მოსკოველ მოჭადრაკეს დაეწეოდა. ბულგარელმა დროს გადააცილა, მაგრამ ნონამ ეს ვერ შენიშნა. ახლოს კი არც ერთი მსაჯი არ იყო. ნონას ეწყინა ეს ამბავი, ხოლო შემდეგ უკვე ველარ დაჯაბნა მეტოქე. პარტია ყაიმით დამთავრდა და I ადგილისთვის ბრძოლის შანსიც დაიკარგა.

დასკვნით, XV ტურში კუშნირმა ადვილად სძლია ესპანელ ფერერს. ნონას მეტოქე — კატია იოვანოვიჩი, რომელსაც საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა, მტკიცედ იბრძოდა და შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ნონა მთელი ტურნირის მანძილზე უჩვეულოდ მძიმედ თამაშობდა და ამიტომაც ბევრი პარტიაც გადადო. ავადმყოფობდა კიდეც, მაგრამ არც ერთ მომენტში გული არ გასტეხია. კუშნირი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში აღმოჩნდა. თვითონაც ამბობს, ასე არასოდეს მითამაშიაო.

III ადგილი 10,5 ქულით დაისაკუთრა კატია იოვანოვიჩმა, IV — ჩეხოსლოვაკიელმა იანა მალიპეტროვამ (10 ქულა), რომელმაც, სხვათა მორის, ბოლო ორ ტურში ლაზარევიჩთან და პოლიქრონიადესთან 1,5 ქულა მოაგროვა.

ამ დღეებში ბელგრადელთა მთავარი სალაპარაკო თემა „საუკუნის მატჩია". ქალაქში გამოკრულია ლამაზი აფიშები, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში იყიდება მატჩის პროგრამები, მოჭადრაკეთა სურათები, სპეციალური ბიულეტენები. რადიოგადაცემებში ხშირად მოისმენთ მატჩის ამბებს. დილით დავხვდით საბჭოთა გუნდს, რომელსაც საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დიმიტრი პოსტნიკოვი თავკაცობს. უცხოელებიდან ყველაზე ადრე ოლაფსონი და ნაიდორფი ჩამოვიდნენ. დღეს ფიშერი და ლარსენიც ჩამოფრინდნენ.

ლარსენმა ჟურნალისტებს გახუცხადა, რომ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს, თუ პირველ დაფაზე ფიშერი ითამაშებს. ამბობს, რაკი პირველ დაფაზე ჩემი თამაში არ სურთ, მაშ სხვა რომელიმე მონაწილეს მაინც დაუთმონ ეს ადგილი და თანახმა ვიქნებიო. ერთი სიტყვით, იგი მხოლოდ ამერიკელი დიდოსტატის წინააღმდეგია.

ლარსენის ამ განცხადებამ, რა თქმა უნდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა იუგოსლავიის ჭადრაკის მესვეურები. საღამოს რადიოთი გადმოსცეს, რომ მოლაპარაკება კვლავ დაიწყო, მაგრამ წარმატების იმედი არა აქვთ.

ნონა და მე, — გვითხრა საუბრის დასასრულს ა. ჭიჭინაძემ, — „საუკუნის მატჩის" სამ ტურს დავესწრებით და 4 აპრილს სამშობლოში გავემგზავრებით.

თ. გიორგაძე.

# მზია ჩემპიონობას უმიზნებს

თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში.

ჭაბუკთა ტურნირში 6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში 12 მოსწავლეა: ნ. ლომაია (ცხაკაია), გ. ზაიჩიკი (თბილისი) — 5-5 ქულა, ზ. რუხაძე, გ. ცქიტიშვილი, კ. ჩიგოგიძე, თ. გრძელიშვილი (ყველა — თბილისი), დ. მალაშვილი (გორი), თ. ბერიძე (ბათუმი) — 4,5-4,5, კ. ჯოჯუა, რ. დადიანი (ორივე — სოხუმი), მ. ჭიპაშვილი (თბილისი) და უ. კილასონია (გორი) — 4-4.

შვეიცარიული სისტემის წყალობით ყოველ ტურში ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს, ამიტომ პირველობის დასკვნითი 3 ტური განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

გოგონათა შეჯიბრებაში ერთი ტურით მეტია ნათამაშევი. ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს თბილისელი მზია წერეთელი — 6,5 ქულა. ერთადერთი ყაიმი მას ე. ლომიძესთან (ქუთაისი) აქვს. ქუთაისელი მოჭადრაკე II ადგილზე იყო, როცა მოულოდნელად დამარცხდა აუტსაიდერთან — ქ. ეფრემიდისთან (ბათუმი). ახლა მას ისე, როგორც ახმეტელ ქ. ბაშინჯაღიძეს და თბილისელ ნ. ტალახაძეს, მხოლოდ 5 ქულა აქვს. ლიდერს კვალში მიჰყვება რ. ყიფიანი (ქუთაისი) — 5,5 ქულა.

ბოლო ოთხ ტურში ალბათ ყველაზე საინტერესო იქნება ლიდერების — წერეთლის შეხვედრები ყიფიანთან და ტალახაძესთან, ხოლო ყიფიანისა — ბაშინჯაღიძესთან.

თ. ნინოშვილი.

# სიტყვა ეკუთვნით

1 აპრილს მოსკოვში გაიხსნება ევროპის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. საქდესის კორესპონდენტებმა კონტინენტის ჩემპიონებს მიმართეს შემდეგი შეკითხვებით: „ვის ექნება საპრიზო ადგილებზე გასვლის პრეტენზია თქვენს თანრიგში? როგორ აფასებთ კენჭისყრას? ვის მიგაჩნიათ ყველაზე საშიშ მეტოქედ? გაქვთ თუ არა იმედი, რომ შეინარჩუნებთ თქვენს წოდებას?".

პასუხები ასეთი იყო:

**ილონა ვოშტოვა**
(ჩეხოსლოვაკია)

ვერ დავასახელებ, ჩოგბურთელ ქალთა შორის სახელდობრ რომელი მოიპოვებს მედალს, ვინაიდან ძალები თითქმის თანაბარია. ჩემი აზრით, კენჭისყრა საუკეთესო სამართლიანია, რადგან მასში გათვალისწინებულია ევროპის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ქალი. სახიფათო მეტოქედ მიმაჩნია ყველა, ვისაც ევროპის პირველობაში შევხვდები.

ბევრია დამოკიდებული იმაზე, შევინარჩუნებ თუ არა სპორტულ ფორმას (მარტის შუა რიცხვებში ი. ვოშტოვას ბრონქიტი ჰქონდა და იძულებული იყო ვარჯიში დროებით შეეწყვიტა. — რედ.). თუ ცოტა მაინც გამიღიმა ბედმა, რასაკვირველია, ვეცდები დავიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ეს ჩემი ყველაზე დიდი სურვილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი თინათინი





თითქოს სულ ახლახან იყო: თბილისელმა მოსწავლემ თინათინ ლეკვეიშვილმა გულაღმა ცურვაში ჯერ რესპუბლიკურ სარბიელზე დაამარცხა ფავორიტები, შემდეგ კი საკავშირო ტურნირებში იმარჯვა და 14 წლის გოგონამ მეხიკოს ოლიმპიადის საგზური დაისაკუთრა. შარშან მან ევროპის თასი მოიგო, სსრ კავშირის ჩემპიონატში ოქროს მეთრე მედალი მოიპოვა, 100 მეტრზე ცურვაში ქვეყნის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 1.08,2, ხოლო 200 მეტრზე ცურვაში გოგონათა შორის საკავშირო რეკორდს დაეუფლა.

...გუშინ ლენინგრადიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, 10 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებთან ბრძოლაში თ. ლეკვეიშვილმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში იოლი გამარჯვება დაისაკუთრა — 1.09,0 (ვაჟთა შორის იგივე დისტანცია იმავე სტილით მოიგო მოსკოველმა ვ. მაზანოვმა — 59,9. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობეს მოსკოველებმა გ. სინიცინამ — 2.15,6, და ვ. ბურემ — 1.56,4).

• • •

სურათებზე: ზევით მარცხნივ — თ. ლეკვეიშვილს დავალებას აძლევს მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. ტატიშვილი; მარჯვნივ — აღმზრდელის დავალების კარგად შესრულებით სპორტსმენი კმაყოფილია; ქვევით მარცხნივ — თინას მეგობრობა ჭადრაკში სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონ ნ. ალექსანდრიასთან ამ სურათიდანაც ჩანს: იგი „ჭადრაკის დედოფალს" ცურვას ასწავლის; თინა თავის საყვარელ დედოფალასთან...

ფოტო ა. საპკოვისა.





## „ფიდესი" თუ „ვიში"?

ათენი, 28 მარტი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ერთი ფინალისტის ვინაობა გაირკვა თბილისში, ადგილობრივ დინამოელთა მარცხის შემდეგ. საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას განაგრძობს იტალიის მეორე კლუბი „ფიდეს" (ნეაპოლი).

ვინ იქნება მისი მეტოქე ფინალში? ამ კითხვისთვის პასუხი უნდა გაეცა საფრანგეთის „ვიშისა" და საბერძნეთის აეკ-ის აქ გამართულ განმეორებით ორთაბრძოლას. პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, ფრანგებმა 18 ქულის უპირატესობით მოიგეს. ბერძნებმა შინ მხოლოდ რევანში აიღეს (74:65) და „ვიშის" მარაგს 9 ქულა ჩამოაკლეს. ამრიგად, „ფიდესს" თასისთვის გადამწყვეტი ბრძოლა „ვიშისთან" მოუწევს.

## ფინალში — ტტტ და „ვისლა"

სოფია, 28 მარტი. გუშინწინ აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი რიგის ტტტ-სა და ადგილობრივი „აკადემიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. პირველი შეხვედრა რიგაში საბჭოთა სპორტსმენებმა საკმაოდ დიდი ანგარიშით (83:36) მოიგეს და ფაქტიურად ფინალში მონაწილეობის უფლება გაინაღდეს.

საპასუხო შეხვედრაში ბულგარელებს წარმატების უმნიშვნელო შანსი ჰქონდათ, რომელიც შანსადვე დარჩა. გამარჯვება ამჯერადაც ტტტ-მ იზეიმა — 79:62 (35:30).

პრაღა, 28 მარტი. მეორე ფინალისტის ვინაობა უნდა გაერკვია „ვისლისა" (პოლონეთი) და „სპარტას" (ჩეხოსლოვაკია) განმეორებით მატჩს. მოსალოდნელი იყო, რომ „სპარტა" შინ რევანშს აიღებდა, მით უმეტეს, სტუმრად მას მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა წაგებული. მაგრამ მოხდა პირიქით: „ვისლამ" სტუმრადაც იმარჯვა — 55:48 (23:20) და ფინალის საგზური გაინაღდა.

## დედაქალაქის პირველობაზე

მხოლოდ 4 ტური დარჩა სათამაშო თბილისის მოშაშეთა საქალაქო პირველობაში. 11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. მამაკოვი — 9,5 ქულა, 17 წლის ა. ბერუაშვილი — 8 ქულა და 2 გადადებული პარტია, ბ. ლოსაბერიძე — 7 (1), გ. ამირხანოვი — 6,5 (2) და ს. თომაშვილი — 6 (3).

დედაქალაქის ჩემპიონის საკითხი გადაწყდება მამაკოვ — ბერუაშვილის „დუელში". ხოლო ხუთივე ლიდერი ალბათ საქართველოს პირველობაში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

# ევროპის პირველ ჩოგნებს

**დრაგუტინ შურბეკი**

(იუგოსლავია)

ჩემპიონატის მთავარი ფავორიტები იქნებიან დასავლეთგერმანელები, შვედი ჩ. იუჰანსონი, ...ლი ს. გომოზკოვი და ჩემი თა...ლენი. ამასთან, მე სრულია... გამოვრიცხავ მოულოდნელო-

•

...ყრის დროს ბედი არ მწყა... უნდა შევხვდე ჩემთვის უხერ...ტოქეებს, რომლებთანაც თამაში ...რებით მიჭირს.

...ნოზები საერთოდ სატოქმანო მხოლოდ ის შემიძლია, ...რომ ვითამაშებ ამ პრინციპით: ...აფერი, ან არაფერი.

**ზოია რუდნოვა — სტანისლავ გომოზკოვი**

(სსრ კავშირი)

შერეულ წყვილთა თანრიგში ბევრი ძლიერი დუეტი გამოდის. კენჭისყრამ სატურნირო ცხრილში ჩვენთან ერთად მოახვედრა მ. რესლერი და ა. სტიპანჩიჩი, უნგრელები ა. პაპი და ი. იონერი, ჩეხოსლოვაკიელები ი. კარიკოვა და ი. სტანეკი. არანაკლებ სახიფათო მეტოქეები იქნებიან ინგლისის ჩემპიონები მ. რაიტი და დ. ნილი. ანგარიში უნდა გავუწიოთ, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს ა. გედრაიტიტეს და უ. ეგლიტისს. ბრძოლა ნამდვილად მძაფრი იქნება.

ჩვენს „ქვეჯგუფში" გამარჯვებულებს არანაკლებ ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ ტურნირის მეორე ნახევარში. საკმარისია მხოლოდ ჩამოვთვალოთ: ცოლ-ქმარი დ. და ე. შელერები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, სსრ კავშირის ჩემპიონები ამ თანრიგში რ. პოლოსოვა და ს. სარხოიანი, სსრ კავშირის ჩემპიონები პირად თანრიგში ს. გრინბერგი და ა. ამელინი. სწრაფი ინგლისელი მოთამაშეები კ. მეტიუ და ჩ. ვარნსი. ევროპის 1966 წლის ჩემპიონი შერეულ წყვილთა თანრიგში ვ. მიკო (ჩეხოსლოვაკია) ახალ პარტნიორთან ი. ვოშტოვასთან ერთად.

... ეს ფრაზა უკვე შეიძლება ბანალურადაც კი მოეჩვენოს კაცს, მაგრამ სრული ჭეშმარიტება კი გახლავთ: ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვება. ყველა ჩემპიონი განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოლებს. პირადად ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამჯერად იმაზე ნაკლებ შედეგს არ მოვიპოვებთ, ვიდრე ორი წლის წინ მოვიპოვეთ ლიონში, ევროპის ჩემპიონატში: ახლა ხომ შინ გამოვდივართ!

• • •

ორ დანარჩენ თანრიგში ევროპის ჩემპიონებს კორესპონდენტებმა ინტერვიუ ვერ ჩამოართვეს. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა „ოქროს წყვილები" სხვადასხვა მიზეზით დაიმალა. მაგრამ ამის გამო მედლების პრეტენდენტთა რიცხვი არ შემცირებულა. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ქალთა 36 და ვაჟთა 48 წყვილი გამოვა. მათ შორის იქნებიან მსოფლიო ჩემპიონები ამ თანრიგებში: მოსკოველები ზ. რუდნოვა და ს. გრინბერგი, შვედები ჩ. იუჰანსონი და ჰ. ალსერი, აგრეთვე, რუმინელები მ. ალექსანდრუ და კ. კრიშანი, კონტინენტის 1958 წლის ერთ-ერთი ჩემპიონი წყვილთა შორის ი. კარლიკოვა და მისი ახალი პარტნიორი ი. ვოშტოვა, ლიონის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები — ინგლისელები მ. რაიტი და კ. სმითი, გამოცდილი დასავლეთგერმანელი სპორტსმენები დ. შელერი და ა. შიმონი, ევროპის 1968 წლის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში ა. სტიპანჩიჩი და მისი ამჟამინდელი მეწყვილე დ. შურბეკი, ინგლისის ამასწინანდელ ღია პირველობაში გამარჯვებული უნგრელები — ტ. კლამპარი და ი. იონერი, ევროპის მარიანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორები ა. ამელინი და ს. გომოზკოვი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები ს. სარხოიანი და გ. ვარდანიანი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ე. შელერისა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ ი. ბერჟეის (უნგრეთი) დუეტი...

ყველა ამ წყვილს შეუძლია უმაღლესი ჯილდოსათვის იბრძოლოს, მაგრამ, მოდით, დავეთანხმოთ შურბეკს და წინასწარ პროგნოზებს მოვერიდოთ.

ბ. ჯაჭარიძე




## ხომ არ იყიდით ჩემბერლენს, სერ?

1968 წლის მაისის შუა რიცხვებში, პროფესიონალ კალათბურთელთა სეზონის გახსნის წინ, ჯეკ კენტ კუკის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა. ჯეკ კენტ კუკი მილიონერი გახლავთ. იგი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ნავთის მრეწველია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ თავისი მთავარი საქმიანობის გარდა ამ უაღრესად პატივცემულ ჯენტლმენს აქვს კიდევ ერთი პატარა გატაცება, ასე ვთქვათ, ჰობი, რომლითაც იგი თავისუფალ დროს ერთობა. ამ ბოლო ხანს მისი სახელი სულ უფრო ხშირად ჩნდება სპორტულ პრესაში. მისი პორტრეტები ბევრი სახელგანთქმული სპორტული კლუბის რეზიდენციებს ამშვენებს. თავად კუკს ხშირად მოჰკრავთ თვალს სპორტის სასახლეებისა და სტადიონების ტრიბუნებზე, როცა იგი მძაფრად განიცდის ასპარეზობის პერიპეტიებს. რა ხდება? რითაა გამოწვეული ამა ქვეყნის ძლიერის ესოდენ დიდი ინტერესი სპორტისადმი? როგორც ირკვევა, ეს არც ისე ძნელი ასახსნელი ყოფილა. ის პატარა გატაცება, რომელსაც კუკი თავისუფალ დროს უთმობს, ცნობილი გუნდებისა და სახელგანთქმული სპორტსმენების კოლექციის შეგროვება გახლავთ. მას ეკუთვნის ვაშინგტონის განთქმული ბეისბოლისტთა გუნდი „ვაშინგტონ რედ სკინზი", ფეხბურთელთა გუნდი კალიფორნიიდან, პროფესიული ჰოკეის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „ლოს-ანჟელეს კინგზი" და კალათბურთელთა გუნდი „ლოს-ანჟელეს ლეიკერსი". მაგრამ ჯეკ კუკი ასეთი სპორტული სიმდიდრის პატრონის სახელს არ სჯერდება. იგი ტიტულების დიდი მოყვარული გახლავთ და ყველა თავისი გუნდისგან მოითხოვს მხოლოდ გამარჯვებას, მხოლოდ ჩემპიონის სახელს. კუკი მათთვის ყიდულობს მწვრთნელებს და მედეგიც მუდამ სასურველია ჯეკ კუკის კლუბები მუდამ ჩემპიონები არიან. სტადიონები და სპორტის სასახლეები მუდამ სავსეა მაყურებლით. ჯეკ კუკის ქისა თანდათან იბერება, თუმცა ფული მას ისევე სჭირდება, როგორც მეორე აპენდიქსი. მაგრამ, მოდით, დავუბრუნდეთ 1968 წლის იმ ღირსსახსოვარ მაისის დღეს, როცა კუკის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა. მან მაშინვე იცნო თავისი ძველი ნაცნობი ირვინ კოსლოფი, კალათბურთელთა გუნდის „ფილადელფია 76"-ის მენეჯერი. კოსლოფმა კუკს თავი არ შეაწყინა ზედმეტი შეკითხვებით, უქმად არ დააკარგვინა ესოდენ ძვირფასი წუთები და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „გამიგონე, ჯეკ, არ გინდა უილტ ჩემბერლენი იყიდო?"

კუკს მოულოდნელობისგან ხახა გაუშრა. მან ნაცადი საქმოსნის ყნოსვით იგრძნო, რომ ტანად 217 სანტიმეტრი და წონით 127 კილოგრამი ნადავლი მისკენ მოცურავდა. ჩემბერლენის ხელში ჩაგდება სუპერგუნდის შექმნას ნიშნავდა, რადგან „ლოს-ანჟელეს ლეიკერსში" უკვე თამაშობდა პროფესიული კალათბურთის ორი ვარსკვლავი — ელჯინ ბეილორი და ჯერი უესტი. მის გუნდს სწორედ ცენტრის მოთამაშე აკლდა, ჩემბერლენის მეშვეობით კი „ლოს-ანჟელეს ლეიკერსი", ეჭვი არ არის, ახალი საკალათბურთო დინასტიის ფუძემდებელი გახდებოდა. კუკი და კოსლოფი სწრაფად შეთანხმდნენ. მაისის ბოლოს უილტ ჩემბერლენი „ლოს-ანჟელესში" გადავიდა. „ლეიკერსის" თაყვანისმცემლები აღტაცებული იყვნენ და საამისოდ სრული საფუძველიც ჰქონდათ: ბეილორსა და უესტს ჩემბერლენიც დაემატა. პატარა ჯერი, დიდი ელჯინი, უდიდესი უილტი, — სამი ბრწყინვალედ მოთამაშე კალათბურთელი ანუ სამი უდიდესი კალათბურთელი მათგან, ვინც კი ოდესმე გამოსულა მოედანზე, ახლა ერთად, ერთ გუნდში თამაშობდა. მთელს პროფესიულ კალათბურთში სულ ხუთი-ექვსი სუპერი თუ იქნება. ესენი არიან ჩემბერლენი, ბილ რასელი, ოსკარ რობერტსონი, ელჯინ ბეილორი, ჯერი უესტი, ჯერი ლუკასი, ბეილი ჰოველი. და ამ ბრწყინვალე ექვსეულიდან სამმა „ლოს-ანჟელეს ლეიკერსის" სასტარტო ხუთეულში დაიკავა ადგილი.

ელჯინ ბეილორი 34 წლისაა, მაგრამ დღესაც პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთ ბრწყინვალე მოთამაშედ ითვლება. ზოგიერთ სპეციალისტს იგი ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად მიაჩნია. ის, ვინც ამ სპეციალისტებს არ ეთანხმება და პირველ ადგილს ოსკარ რობერტსონს აკუთვნებს, სულ ერთია, მეორე ადგილზე მაინც აყენებს ბეილორს. ტანად ბეილორი 198 სანტიმეტრია და დაახლოებით 100 კილოგრამს იწონის. ბეილორის ფენომენალურ ფიზიკურ ძალაზე ლეგენდები დადის. მის ხელებს იმ ზღაპრული გოლიათის ხელებს ადარებენ, ქვას წვენს რომ ადენდა. ერთხელ, საწვრთნელი თამაშის დროს, როცა ორმეტრიანი გარემარბი, ფილადელფიელი ტომ ჰოკინსი ფარისკენ გაჭრას ლამობდა, ბეილორი წინ გადაუდგა, მკლავები წელზე შემოხვია და მასთან ერთად 4 მეტრზე იფრინა ჰაერში. როგორც ამ სცენის მოწმე მაყურებლები იგონებენ, ბეილორის მკლავებში მოქცეული ჰოკინსი ჩვილ ბალღს ჰგავდა. მწვრთნელი და მოთამაშეები ბეილორს ყველაზე მეტად მისი ჭკუისთვის, მოედანზე აზროვნების უნარისთვის აფასებენ. როცა ბეილორი მოედანზე გამოდის, თამაშს თითქოს პეწი ემატება, უფრო დასრულებული, მთლიანი ხდება. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, ვილჯინ ბეილორზე უკეთ არავინ იცის, როგორ უნდა კალათბურთის თამაში. მისი თამაში მაყურებელს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის, რადგან ბეილორი გამოირჩევა ფილიგრანული ტექნიკით, გონივრული, საინტერესო ტაქტიკური სვლებით და უდიდესი მამაცობით. არავინ ისე არ თამაშობს ორმეტრიანი გოლიათების წინააღმდეგ, როგორც ბეილორი. იგი მათთან ბრძოლაში თამამად იბრძვის როგორც საკუთარი, ისე მეტოქის ფარის ქვეშ, გზას ულობავს მოწინააღმდეგეს და ფართან მისასვლელს კეტავს. ყოველივე ამისთვის კი უდიდესი ვაჟკაცობაა საჭირო.

ჯერი უესტი ყველაზე ზუსტი მოთამაშეა პროფესიულ კალათბურთში. მას შეუძლია ნებისმიერი მანძილიდან და მდგომარეობიდან აიღოს მეტოქის ფარი, რითაც დიდ დახმარებას უწევს გუნდს გასაჭირის წუთებში. 1969 წლის დეკემბერში ლოსანჟელესელები „სიტლ კლაბს" შეხვდნენ. ეს საშუალო დონის გუნდი მუდამ დიდი შთაგონებით თამაშობს „ლოს-ანჟელეს ლეიკერსის" წინააღმდეგ. უესტმა მაშინ სასწაული მოახდინა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. შეხვედრის დამთავრებამდე 3 წამი რომ დარჩა, „ლეიკერსი" 2 ქულით აგებდა. წუთშესვენების დროს უესტმა ითხოვა, ბურთი მე მომეცითო, მერე გარღვევაზე გავიდა და საჯარიმო ტყორცნის უფლება მიიღო. სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა. როცა მატჩის დამთავრებას 2 წამი აკლდა, უესტმა 7 მეტრიდან ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში. თამაშის დროს სხვას არავის სდარაჯობენ ისე გულდაგულ, როგორც ჯერი უესტს. ერთხელ ერთმა მოთამაშემ თქვა: წესების დაცვით უესტის მეურვეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ეს იგივეა, ცარიელ ადგილს რომ უდარაჯოს კაცმაო. ამიტომ მოთამაშეები, რომელთაც უესტის მეურვეობა აკისრიათ მოედანზე, ხშირად ვერ იცავენ კანონიერების ფარგლებს. დარტყმა, კვანტის გამოდება, ხელის კვრა — ეს უხეში ხერხები ჩვეულებრივი ამბავია უესტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რაც მას ბევრჯერ ძვირად უჯდება. უესტი 15 წელია პროფესიულ კალათბურთში გამოდის და შეხვედრების თითქმის ნახევარი გაცდენილი აქვს ტრავმების გამო. მაგრამ როცა ის მოედანზეა, თამაში დიდებულ საკალათბურთო სპექტაკლს ემსგავსება. უესტი ცნობილი თავდამსხმელია. მას შეუძლია ბურთი ტყორცნოს ნებისმიერი მანძილიდან, ნებისმიერი ხელით, ნებისმიერი პოზიციიდან. მაგრამ უესტი დაცვაშიც ბრწყინვალეა. აქ მისი ილეთები, უბრალოდ, ფანტასტიკურია. ერთხელ, „ბოსტონ სელტიკსთან" შეხვედრის დროს უესტმა გამაოგნებელი ნახტომით იგდო ხელთ ბურთი, რომელიც მიწიდან 25-30 სანტიმეტრზე მიფრინავდა და ჰაერშივე ლამაზად მიაწოდა იგი ბეილორს, შემდეგ მან საპასუხო გადაცემა მიიღო და ბრწყინვალე გარღვევით ორივე ხელით ზევიდან ჩადო ბურთი მეტოქის კალათში. მთელ ამ ოპერაციას 5 წამი დასჭირდა.

უილტ ჩემბერლენზე წერა მუდამ ძნელია. ჩემბერლენზე და მის რეკორდებზე იმდენი რამაა დაწერილი, თავი რომ მოგვეყარა, ერთი მრავალტომიანი გამოცემისთვის იკმარებდა. ჩემბერლენის რეკორდები შეუდარებელია და ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესმე ვინმე თუნდაც მიუახლოვდეს მის შედეგებს. 100 ქულა ერთ შეხვედრაში, 55 საკვანძო გადაცემა ერთ მატჩში, საჯარიმო ტყორცნის ასპროცენტიანი შესრულება. ეს, ასე ვთქვათ, აბსოლუ-



უ. ჩემბერლენი

ტური რეკორდები გახლავთ. რა შეიძლება ითქვას ჩემბერლენის შარშანდელ სეზონზე? ერთ მატჩში მან 68 ქულა აიღო, 38-ჯერ კი უვნებელყო თავისი კალათი, მისი 21 გადაცემა მეტოქის კარის აღებით დამთავრდა. ჩემპიონატის ბოლო სამ შეხვედრაში მან გუნდს 168 ქულა მოუტანა. სეზონის შედეგების მიხედვით იგი კვლავ № 1 კალათბურთელია.

ერთად კი ჩემბერლენმა, უესტმა და ბეილორმა შარშანდელ სეზონში ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს პროფესიულ კალათბურთში. ამ სამმა 60 ათასი ქულა მოიპოვა. მათი 9 ათასი გადაცემა მეტოქის კარის აღებით დაგვირგვინდა, 30-ათასჯერ მოხსნეს ფარიდან ასხლეტილი ბურთი. ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა სიაში ჩემბერლენი პირველ ადგილზეა, ბეილორი — მეორეზე, უესტი — მეექვსეზე. ამ სამეულის ბრწყინვალე თამაშის წყალობით „ლოს-ანჟელეს ლეიკერსი" თავისი ქვეყნის პირველი გუნდი გახდა, თუმცა სეზონის დასაწყისი მას კარგს არაფერს უქადდა. გუნდს, რომელსაც ჰყავს ჩემბერლენი, ბეილორი, უესტი, თითქოს არ უნდა გაუჭირდეს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება, მაგრამ ჩემპიონატის პირველმა მატჩებმა ცხადყო, რომ „ლოს-ანჟელეს ლეიკერსში" ყველაფერი რიგზე არ იყო. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩემბერლენი და გუნდის მწვრთნელი ბილ ვან ბრედა კოლფი ვერ მორიგდნენ. კალათბურთის ბრწყინვალე მცოდნე კოლფს ეს მშვენიერი თამაში, პირველ ყოვლისა, კოლექტიურ თამაშად მიაჩნია. მისი აზრით, გამარჯვებას აღწევს არა ერთი რომელიმე ვარსკვლავი, არამედ გუნდის ყველა მოთამაშე. კალათბურთი არ არის სპექტაკლი, სადაც ორი თუ სამი ვარსკვლავი ერთად გამოდის. ბეილორს, ჩემბერლენსა და უესტს შეუძლიათ თითოეულ შეხვედრაში 90-90 ქულა მოუტანონ თავიანთ გუნდს, მაგრამ დღეს ეს არ კმარა გამარჯვებისთვისო. მატჩის ბედს წყვეტენ არა ცალკეული მოთამაშეები, არამედ მთელი გუნდი.

კალათბურთს 5 კაცი თამაშობს, კიდევ 5 თუ 6 სათადარიგო სკამზე ზის და მზადაა ყოველ წუთს შეცვალოს ამხანაგები მოედანზე. კალათბურთი თამაშია, კოლექტიური თამაში და არა სოლისტების წარმოდგენაო. აი, ასეთ მოთხოვნილებას უყენებს კოლფი თავის გუნდს.

ჩემბერლენის გამოსვლამდე „ლოს-ანჟელეს ლეიკერსს" თითქმის არც ერთი სახელგანთქმული მოთამაშე არ ჰყავდა, თუ ბეილორს არ ვიგულისხმებთ (უესტი მძიმედ დაშავდა და მატჩებში თითქმის აღარ მონაწილეობდა). მიუხედავად ამისა, კოლფმა გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა „ბოსტონ სელტიკსის" შემდეგ და სპეციალისტების აზრით, „ლოს-ანჟელეს ლეიკერსმა" სწორედ კოლექტიური თამაშით მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. საუკეთესო მწვრთნელთა სიაში ბილ ვან ბრედა კოლფმა პირველი ადგილი დაიკავა. მაგრამ აი, დადგა ახალი, 1969 წლის სეზონი და გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ ბეილორი, უესტი, ახლა ჩემბერლენიც, და რომელსაც ცნობილი მწვრთნელი კოლფი ედგა სათავეში, მარცხით დაიწყო. 19 ოქტომბერს ფილადელფიაში „ლეიკერსი" გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა „ფილადელფია 76"-თან, რომელიც უკვე უჩემბერლენოდ გამოდიოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მიიღო „ლოს-ანჟელესის" ყოფილი მოთამაშეები არჩი კლარკი და დარელ იმჰოფი. იყო მომენტი, როცა „ლეიკერსი" 30 ქულას აგებდა. ჩემბერლენი მთელი მისი კარიერის მანძილზე პირველად დასვეს სათადარიგოთა სკამზე.

(დასასრული იქნება)

## ნიჩბებით — ატლანტის ზვირთებზე

მარტის ერთ ღამეს კუნძულ ანტიგუას (ვესტინდოეთი) ნავსადგურს მეთევზეთა პატარა ბრტყელფსკერიანი ნავი მიადგა. ნაპირზე გადმოვიდა ჩასკვნილი, წვერმოშვებული კაცი, რომელიც მომქანცველი მოგზაურობით დაღლილიყო, მაგრამ მაინც კმაყოფილი ილიმებოდა. ეს გახლდათ მხატვარი სიდ ჯენდერსი, პირველი ინგლისელი, რომელმაც ნიჩბებიანი ნავით მარტოდმარტომ გადალახა ატლანტის ოკეანე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

ჯენდერსმა (იგი 51 წლისაა) ნავით ოკეანის გადალახვა პირველად შარშან ივნისში სცადა. იგი შოტლანდიის ნაპირებიდან დაადგა გზას, მაგრამ 19 დღის შემდეგ იძულებული გახდა ქარიშხლის შიშით უკან დაბრუნებულიყო.

13 სექტემბერს ჯენდერსი კვლავ წავიდა სამოგზაუროდ, ამჯერად, კორნუოლის ნახევარკუნძულიდან, ნეილონგადაკრული 7-მეტრიანი ნავით. გზის პირველი ნახევარი კანარის კუნძულებამდე, რომელსაც ჯენდერსმა 68 დღე მოანდომა, შედარებით მშვიდი იყო. ამინდი ხელს უწყობდა მოგზაურს. პირქარში იგი ზოგჯერ დღე ღამეში 60 მილზე მეტს გადიოდა.

სიძნელე დაიწყო გზის მეორე მონაკვეთში, რომლის სიგრძეც დაახლოებით 2 ათასი მილი იყო. ამ მანძილის დასაძლევად ჯენდერსს 75 დღე დასჭირდა. კანარის კუნძულებიდან დასავლეთით 500 მილზე ქარიშხლის დროს ჯენდერსს სასმელი წყლის მარაგი დაეღუპა და სურსათის ნაწილიც დაკარგა. მან ბევრი უძილო ღამე გაატარა წყურვილსა და დაძაბულობაში. საბედნიეროდ შემდეგ წვიმა წამოვიდა და ჯენდერსმა წყალი მოიმარაგა, რაც ანტიგუამდე ეყო.

როცა კორესპონდენტებმა ჰკითხეს, რას ისახავდა მიზნად ამ მოგზაურობით, ჯენდერსმა მიუგო: „მინდოდა დამემტკიცებინა, რომ 50 წლის კაცი ჯერ კიდევ ჯანღონით სავსეა".

ო. ოსიპოვი.
(საკდესის კორ.).
ლონდონი.

## კვლავ რევანშისტული გამოხდომა

1972 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა კვლავ მოაწყვეს რევანშისტული გამოხდომა. მათ გააკეთეს სანიმუშო მედლები წარწერით: „XX ოლიმპიური თამაშები გერმანიაში".

განა შეიძლება არ გაგახსენდეს დასავლეთგერმანელი რევანშისტების ამასწინანდელი თავხედური საქციელი, როცა მათ ასეთივე წარწერით სამახსოვრო ოლიმპიური მონეტაც გამოუშვეს. ეს მანიპულაციები ამხელენ ბონის რევანშისტული წრეების განზრახვას, რომელთაც სურთ მთელი გერმანიის სახელით იმოქმედონ.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა პროტესტი განაცხადა ამ მედლების გამოშვებაზე. სოკ-ის წესებში ნათქვამია, რომ ყველა საბუთში აღნიშნული უნდა იყოს არა სახელმწიფო, არამედ მხოლოდ ის ქალაქი, სადაც ოლიმპიური თამაშები ტარდება, ესე იგი, ამ შემთხვევაში — მიუნჰენი. ამიტომ ბრენდეჯმა სავსებით სამართლიანად მოითხოვა, რომ ზემოხსენებული წარწერიდან სიტყვა „გერმანია" ამოეშალათ. (საკდესი).

## თასების მონაწილეთა კენჭისყრა

უეფა-ს სპეციალურმა კომიტეტმა მოაწყო ევროპულ ტურნირებში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების კენჭისყრა. შეგახსენებთ მის შედეგებს და მოგვყავს მატჩების თარიღები:

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან „ლეგია" (ვარშავა) — „ფეიენოორდი" (როტერდამი), „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი) — „სელტიკი" (გლაზგო). თამაშები უნდა გაიმართოს 1 და 15 აპრილს, დამატებითი მატჩისთვის დანიშნულია 22 აპრილი.

თასების მფლობელთა თასი: „რომა" (იტალია) — „გურნიკი" (ზაბჟე, პოლონეთი), „შალკე 04" (გელზენკირხენი, გფრ) — „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი). სათამაშო დღეები აქ იგივეა.

საბაზრო ქალაქების თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან: „არსენალი" (ლონდონი) — „აიაქსი" (ამსტერდამი), „ანდერლეხტი" (ბრიუსელი) — „ინტერი" (მილანი). თამაშები უნდა დამთავრდეს 15 აპრილამდე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08123